თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3910749

ნომერი: AR1589403

თარიღი : 29.03.2018

გაცემის თარიღი : 16.04.2018

გაცნობის თარიღი : 16.04.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ვ. ჩიქოვანის ქ. N1-ის მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ვ.ჩიქოვანი , N 1;

დამკვეთი-განმცხადებელი

- შალვა ვაშაკიძე პ/ნ 01010006199
- თბილისი ბუდაპეშტის ქ. N 48

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1589403 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით ქ. თბილისში, ვ. ჩიქოვანის ქ. N1-ის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , ქუჩა ვ.ჩიქოვანი , N 1-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე მშენებლობას და ითხოვთ ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2016 წლის 17 ივნისს #2656397 ბრძანებით ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ვ. ჩიქოვანის აუჩა #1-ის მიმდებარედ / ვ. ჩიქოვანის ქუჩა #1, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ #01.14.15.015.086), შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

სამსახურის მიერ ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტი გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მისი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თუ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და ადმინისტრაციული წარმოების განახლების და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარების შესახებ თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge